ანგარიში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით სოცალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის გეგმით დამტკიცებულია 500 ათასი ლარი, ხარჯმა 6 თვის შედეგების მიხედვით შეადგინა 296,5 ათასი ლარი, (ვალდებულებების კლება შეადგენს 27 500 ლარს). აღნიშნული თანხები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს და დახმარების თანხამ 20 720 ლარი შეადგინა, აქედან ბინის ქირის ხარჯია 8570 ლარი (ამ მხრივ წინა წლის ვალდებულებები დაიფარა 1300 ლარი). ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა იძულებით გადაადგილებულმა ოთხმა მოქალაქემ თანხით 550 ლარი (ამ მუხლზე ვალდებულებების კლებაზე პირველ კვარტალში გაიხარჯა 4400 ლარი). სააგარიშო პერიოდში ყოველთვიური ფულადი დახმარების სახით 13 130 ლარი მიიღო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ოჯახებმა, ხოლო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის გაგაიხარჯა 184 720 ლარი, მათ შორის სუბსიდიის მუხლიდან 32 687 ლარი (ა(ა)იპ განათლების დღის ცენტრი 6500 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 26 200 ლარი). ,,C” ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დახმარების თანხა 3344 ლარი. პროგრამის შესაბამისად ფულადი დახმარება ისარგებლა თირკმლის უკმარისობით დაავადებულმა 9 ბენეფიციარმა, რომლებსაც პირად საბანკო ანგარიშზე 8680 ლარი ჩაერიცხათ. დაკმაყოფილდა გულისთანდაყოლილი პათოლოგიით და ეპილეფსიით დაავადებული 5 ბენეფიციარის მოთხოვნა და თანხა გადაირიცხა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას სულ 1700 ლარის ოდენობით. შშმ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენისათვის გაწეული იქნა 9569 ლარის დახმარება. ასევე ჰემოფილიით დაავადებულ ორ ბენეფიციარს დაერიცხა პირად საბანკო ანგარიშზე 400 ლარი.

ექვს თვეში ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისათვის გაწეული იქნა 49 250 ლარი დახმარება (კრედიტული დავალიანება 7080 ლარი დაფარული იქნა პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით). ამ მუხლზე ფულადი დახმარებები მიიღო 24 მრავალშვილიანმა ოჯახმა (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0- 30000 ქვევით ან 65 001-დან 150 000-მდე) 19525 ლარის ოდენობით, ახალშობილთა 56 ოჯახმა მიიღო მიიღო 11200 ლარი, ხოლო დედ-მამით ობოლი ბვშვის ერთ ოჯახს გადაერიცხა 1200 ლარი. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახებს კომუნალური მომსახურებისათვის გადაერიცხათ 11 910 ლარი (ამ მომსახურებით სარგებლობს 57 ოჯახი). პროგრამის შესაბამისად დახმარება გაეწია განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე ოთხი ბენეფიციარის ოჯახს დახმარების თანხა 1920 ლარი. სარიტუალო (დაკრძალვის) მომსახურებისათვის ხარჯი-500 ლარი, ხანდაზმულ (100 წლის და მეტი ასაკის) სამ პირს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა თითოეულს 300 (სამასი) ლარი, სულ 900 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების საკითხის გადაწყვეტა ხდება სამსახურის მიერ ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე. დახმარების მიმღებთა ოჯახებში (დემოგრაფიული ცვლილება, ასაკი და სხვა) ცვლილებების მიხედვით,ბენეფიციართა სიებში (დახმარების დანიშვნა, გაუქმება, აღდგენა,შეწყვეტა) დაზუსტება, რომლის მიხედვითაც მზადდება ბრძანების პროექტი შემდგომი დახმარების მიმღებთა დაფინანსებისათვის.